პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 4 (12516) | შაბათი, 5 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.


## მეტალურგთა ახალი საჩუქარი

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ დამთავრდა მარტენის საამქროს ერთი ღუმელის რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქცია დამთავრდა 56 საათით ადრე.

ამ დიდ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს მემონტაჟეებმა — უფროსმა ოსტატებმა ვ. გიგიბერიამ და თ. ბარბაქაძემ, აგრეთვე მეფოლადეებმა მ. სპანდერაშვილმა, ვ. ბერულავამ, ცვლის უფროსმა ბ. ღოღობერიძემ და სხვებმა.

### შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღეები

# შრომითს ვახეზე

## ახალი გღუდეების დასაპყრობად

თბილისი სახეხი ჩარხების ქარხნის მექანიკურმა უბანმა გასული სამეურნეო წელი სასახელოდ დაამთავრა და გეგმის გადამეტებით თხუთმეტი ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მაგრამ მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ და გადაწყვიტეს წელს უფრო მეტად ამოველონ წარმატებანი, დაიცვან ქარხნის ღირსება და სახელი.

ეი ამ გრძნობით დაიწყო ახალი შრომითი შემოკმედების წელი მექანიკური უბნის კოლექტივმა და შვიდწლედის მეხუთე წლის პირველ დღესვე სასიხარულო შედეგს მიაღწია. 2 იანვრის საწარმოო დავალება აქ 105 პროცენტით შესრულეს. კიდევ უფრო მეტად ისახელეს თავი ცალკეულმა მუშაკებმა. მიხეილ თეთრაძე ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბრიდან 1963 წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას. ახალი წლის პირველი დღიდანვე იგი ყოველდღიურ დავალებას ორასი პროცენტით ასრულებს.

ხარატმა პ. პეკოვაროვმა ახალი წლის პირველ დღეს ნორმით გათვალისწინებული 10-ის ნაცვლად 15 ჭიანარნი დაამზადა, რითაც ერთი დღის დავალება 150 პროცენტით შესრულა. უკეთესი მაჩვენებლები აქვს შემდეგ დღეებში.

ასეთივე შრომითი მაჩვენებლებით აღინიშნეს ახალი წლის პირველი დღე ხარატმა მ. მალაკაევმა, მღარავებმა ნ. არჩუაძემ, გ. ცხოვრებოვამ და სხვებმა.

## პირველი წარმატება

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმომ — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა შვიდწლედის მეხუთე წლის პირველ დღესვე შრომაში ახალი წარმატება მოიპოვა. კომბინატმა ორ იანვარს ნართის გამოშვების დავალება 102 პროცენტით შეასრულა. დაწინაურდა კომუნისტური შრომის № 1 საამქრო, რომელმაც გეგმის გადამეტებით პირველ ცვლაში 227 კილოგრამი ნართი გამოუშვა. ამ საამქროს მრთველმა მ. გიგაურმა ნართის გამოშვების ერთი დღის დავალება 110 პროცენტით გაანაღდა. ასეთსავე მაჩვენებლებს მიაღწიეს დ. მიქელაძემ, ლ. ჩულფაინოვამ, რ. აბუზარაშვილმა და სხვებმა.

საქსოფა საამქროს 100 კილოგრამის გადაჭარბებით შეასრულა ქსოვილის გამოშვების ერთი დღის დავალება. დღიური გეგმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს მოწინავეებმა ო. ინაშვილმა, თ. ქარეულმა, რ. ცაბაძემ.

ეკვარლის მეორე შრომეობრივ ნახელობის საბჭოთა მეურნეობის [illegible] მეურნეობის [illegible] — [illegible] — [illegible] —

# ფხიზელი პარტიული თვალით

## ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე

**უკანასკნელი** კვირის მანძილზე მთელ ტერიტორიაზე, სადაც ახლა ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო ზონაა გადაჭიმული, განუწყვეტლივ წვიმს. მთის მდინარე ტყიბულა, რომელიც ქვანახშირის საბადოს ჩამოუდის, ასეთი წყალუხვი და აზვირთებული ჯერ არავის უნახავს.

ტყიბულში ვინც ყოფილა, იცის, რომ აქ არის მეორე, უფრო ლამაზი და მიმზიდველი მდინარე — „შავი ოქროს“ მდინარე. იგი სათავეს იღებს ღრმა სამთო ჰორიზონტებზე, მიწისქვეშა ლაგებსა და სანგრევებში. წელს ორივე მდინარე სიმბოლურად ჰგვანან ერთმანეთს. ისინი ორივე აზვირთებული და უხვია. „შავი ოქროს“ მდინარის შემოქმედნი არიან ადამიანები—სახელოვან მეშახტეთა მკლავმოუღლელი პლეადა. ჩვენ გვინდა მოგითხროთ ამ ადამიანთა ერთ დიდ სინტერესო და საქმიან საუბარზე.

დილაადრიან დაიწყეს დელეგატებმა სვლა ქალაქის ცენტრისაკენ. კულტურის სასახლის შენობა, სადაც მეშახტე კომუნისტები, მშენებლები, ექიმები და მასწავლებლები გროვდებოდნენ, თანდათან ახმაურდა, ხალხმრავალი გახდა.

პარტიული კონფერენცია მუშაობას შეუდგა. მოხსენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგები და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე კ. ლომაძე.

— ყველა საბჭოთა ადამიანი. — თქვა მომხსენებელმა, — მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა შეუნელებლად აღევნებდა თვალს ნოემბრის პლენუმის მუშაობას. ეს გასაგებიც არის. პლენუმმა განიხილა მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, დასახა სსრ კავშირის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის გზები. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება მტკიცედ ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს, მასში ხორცშესხმულია პარტიის მდიდარი კოლექტიური გამოცდილება, გონება და ნებისყოფა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელმა და კრების მონაწილეებმა იმსჯელეს პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, ქვანახშირის მრეწველობისა და მშენებლობის დარგების მუშაობის გაუმჯობესებაზე.

როგორ მიმდინარეობს პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა ქალაქ ტყიბულში — აი საკითხი, რომელსაც შეეხო ყველა ორატორი. ახალშექმნილი ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო კომიტეტი უხელმძღვანელებს 154 საწარმოდაწესებულებას. ქალაქში არსებულ საწარმო-დაწესებულებათა გარდა სამრეწველო კომიტეტში შევა კურსების გრანტისა და გელათის ტრანსფორმატორების ქარხანა, რკინიგზის ქუთაისი-ტყიბულის ხაზის ყველა სადგური, შაორის გეოლოგიური პარტია და ტყიბულპესი, რომელიც წინათ თერჯოლის რაიონს ეკუთვნოდა.

უკანასკნელ დრომდე სასოფლო რაიკომები იშვიათად დაინტერესდებოდნენ ხოლმე ამ საწარმოთა და მათი პარტიული ორგანიზაციების მუშაობით.

— ახლა კი სულ სხვაგვარად იქნება, — ამბობდნენ კონფერენციის მონაწილენი, — სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 1825 კომუნისტს. პარტიულ კომიტეტს, რომელსაც ახლა ავირჩევთ, შესაძლებლობა აქვს უფრო პრაქტიკულად და გეგმაზომიერად განახორციელოს წარმოებისადმი ხელმძღვანელობა.

დელეგატებმა თავიანთ გამოსვლაში ხაზი გაუსვეს იმ შრომითსა და პოლიტიკურ აღზრდას, რაც „შავი ოქროს“ ქალაქის მშრომელებში, ტყიბულის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს. ტყიბულელმა მეშახტეებმა ვადამდე ერთი კვირით ადრე განაღდეს ქვანახშირის ამოღების გასული წლის დავალება, მშობლიურ მეტალურგიას მისცეს ათეულ ათასობით ტონა ზეგეგმითი სალკმსე კონცენტრატი. პლენუმის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში თავი ისახელა ტყიბულქვანახშირის ტრესტმა, რომელმაც ნაკისრი ვალდებულების ზევით ამოიღო 34 ეშელონი სთბობი.

კარგად იმუშავა ტყიბულის საბადოს ყველა შახტმა, ქვანახშირის გამამდიდრებელმა ფაბრიკამ და სხვებმა.

მაგრამ ამ შესანიშნავი მაჩვენებლების მიღმა არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ჩრდილოვანი მხარეები.

სიტყვა აიღო ცნობილმა ტყიბულელმა ნოვატორმა, დასავლეთის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. შარვაძემ.

— ნოემბრის პლენუმმა, — თქვა მან, — განსაკუთრებით მიუთითა რეზერვების გამოვლინებასა და მათს გონივრულ გამოყენებაზე. ეს კი ჩვენთან ყოველთვის ასე როდი ხდება. ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობანი საკოქსე ქვანახშირის ამოღების გასადიდებლად. 16 საექსპლოატაციო უბნიდან წელიერი დავალება მხოლოდ 8 უბანმა შეასრულა. მარტო ამით ქვეყანას დაეკარგა 37 ათასი ტონა ქვანახშირი. დიდი ნაკლოვანებებია ახალი ტექნიკისა და წარმოების ახალი ტექნოლოგიის განვითარების საქმეში. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს შახტებში განსაკუთრებული რამ არაფერი დანერგილა. ყველაზე მოუგვარებელია ე. წ. მცირე მექანიზაციის საქმე. სანგრევებში ქვანახშირს ვაცურებთ პრიმიტიული იარაღით. ახალარჩეულმა პარტიულმა კომიტეტმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებზე ილაპარაკეს აგრეთვე ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველმა ლ. რატიანმა, ლენინის სახელობის შახტის უფროსმა აკ. ბასიოძემ, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ტ. გაბრიელიძემ.

> **სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით ქმნის ხელსაყრელ პირობებს, რათა უზრუნველად განხორციელდეს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების შესახებ.**
>
> სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან.

როგორც მათ აღნიშნეს, ტყიბულქვანახშირის ტრესტმა გადაჭარბებით შეასრულა ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო დავალება. მიუხედავად ამისა, ეს ახალი რეტაბელური მეთოდი ნელა ინერგება ტყიბულის ქვანახშირის საბადოში. ჯერ კიდევ მცირეა მისი წვლილი ქვანახშირის საერთო მოპოვებაში და წელს ძლივსძლივობით მიაღწია ერთ მესამედს. ჰიდრავლიკური ვსების გამართულ მუშაობას აფერხებს საკარიერო მეურნეობის მოუწყობლობა. ძველი დანადგარები და მექანიზმები ვერ უზრუნველყოფენ საგსები მასალის იმ რაოდენობით წარმოებას, რაც სინამდვილეში არის საჭირო. არ იქნა და დღემდე ხეირიანად ვერ მოგვარდა დიდი სიღრმიდან ნამუშევარი წყლის ამოტუმბვის პრობლემა.

— ავტომატიკა შვიდწლედის ფრთებია, — თქვა ლენინის სახელობის შახტის წმენდითი სანგრევის მუშამ, კომუნისტმა ა. დათიაშვილმა. — ჩვენს შახტებში დიდი გამოყენება ჰპოვა ცენტრალური განაკვების ვენტილატორების ავტომატიზაციამ. ორჯონიკიძის სახელობის შახტში გამორნდა ტელემექანიკა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ქვანახშირის ამოღების ინტერესები მოითხოვენ დაჩქარდეს ქვანახშირის მომხვეტი კომბეიერების დისტანციურ ავტომატურ მართვაზე გადაყვანა. მაგრამ ეს სიახლე კუს ნაბიჯით ინერგება. ლენინის სახელობის შახტში 57 მომხვეტი კონვეიერიდან დისტანციურ ავტომატურ მართვაზე გადაყვანილია მხოლოდ 7 კონვეიერი. საქმე ის არის, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო ვერ გვამარაგებს საჭირო რელერეგულატორებით, კაბელებით და სხვა საჭირო მასალებით. კარგი იქნება, თუ სახალხო მეურნეობის საბჭო და ავტომატიზაციის ინსტიტუტები იმუშაებენ ნაწილობრივი განაკვების ვენტილატორების ავტომატიზაციაზე გადაყვანის პრობლემებზე.

დელეგატებმა პარტიული პირდაპირობით ამხილეს სერიოზული ჩამორჩენა ახალი შახტებისა და მუშათა საცხოვრებელი ბინების მშენებლობის საქმეში, მკაცრად გააკრიტიკეს უყაირათო მუშაობი.

ნელი ტემპით მიმდინარეობს რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი საწარმოს — კომკავშირული შახტის მშენებლობა. შახტმშენებლებმა გასულ წელს ვერ შეასრულეს ძირითად სამთო გამონამუშევართა გაყვანის სახელმწიფო დავალება.

— სახალხო მეურნეობის საბჭო და მგეგმავი ორგანოები რატომღაც წლითიწლობით ამცირებენ ბინათმშენებლობის თანხების დაბანდებას ტყიბულში. ამის შედეგია ის, რომ ბოლო ხანებში აქ აღარ ბინათმშენებლობის ტემპმა. აღინიშნა ტყიბულშახტმშენის სამმართველოს მოუქნელი მუშაობა, რომელმაც შარშან ვერ აითვისა ბინათმშენებლობაზე მიცემული ისედაც მცირე თანხა. საწყობებში გვხვდება დაუდგმელი მოწყობილობა. ცენტრალურმა ელექტრომექანიკურმა სახელოსნომ რამდენიმე წლის წინათ მიიღო ჩამომსხმელი საამქროს ყველა დანადგარი და სათანადო პროექტები, მაგრამ იმის გამო, რომ ზემდგომმა ორგანოებმა ფულადი სახსრები არ გამოყვეს, ეს მოწყობილობა იქანგება და ფუჭდება.

კომუნისტებმა თავიანთ გამოსვლებში განიხილეს ზონის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების, მათი პარტიული ორგანიზაციების საჭირბოროტო საკითხები. კონფერენციამ მიიღო დადგენილება და დაავალა პარტიულ კომიტეტს მთელი თავისი მუშაობა ააგოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

კონფერენციამ აირჩია სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტი 57 წევრისა და 23 კანდიდატის შემადგენლობით.

**შედგა კონფერენციის მიერ არჩეული პარტიული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც აირჩია პარტიული კომიტეტის მდივარ. პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია პ. ლომაძე, ხოლო მოადგილეებად — ვ. სახვაძე და ბ. ბრეგაძე.**

**კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ბ. ა. გეგეშიძემ.**

**ვ. ცირკაიძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

# ᲓᲘᲓᲘ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

**კომუნისტური** პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ უურადღებას უთმობს ჩვენს ქვეყანაში ქიმიური მრეწველობის განვითარებას. ეს ერთხელ კიდევ ნათლად დადასტურდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმამშინაარსიან მოხსენებაში, პლენუმის მასალებში დეტალურად არის განხილული „დიდი ქიმიის“ შემდგომი განვითარების ამოცანები. ამ ამოცანების გადაწყვეტაში თავისი სერიოზული წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენმა რესპუბლიკამ.

**რა არის საჭირო იმისათვის, რომ რესპუბლიკაში წარმატებით გადაწყდეს „დიდი ქიმიის“ პრობლემები?** შეეხოთ ამ მხრივ ზოგიერთ საკითხს.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა მსხვილი ქიმიური ობიექტია. იგი ამჟამად უშვებს 12 სხვადასხვა სახის ქიმიურ და სამრეწველო პროდუქციას. ქარხნის შემდგომი ზრდა ისეა გათვალისწინებული, რომ ქარხანა 1963 წელს შეძლებს გამოუშვას მილიონობით მანეთის პროდუქცია. მწყობრში ჩადგება კაპროლაქტამის ახალი საწარმო, საგრძნობლად გაიზრდება მინერალური სასუქების გამოშვება.

გარდა ამისა, რუსთავში ახლო მომავალში ამოქმედდება სინთეზური ბოჭკოა ქარხანა, რომელიც გამოუშვებს კაპრონის ძაფს, კორდს და სხვა პროდუქციას.

ქიმიის ეს პრობლემები რომ გადაწყდეს, საჭიროა უკეთ მოეწყოს დაგეგმვის საქმე. მით უმეტეს, რომ ნოემბრის პლენუმმა მკვეთრად გააშახვილა უურადღება დაგეგმვაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

მოვიყვან ასეთ მაგალითებს: **პირველი.** კაპროლაქტამის წარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემა დაგეგმილი იყო შარშან III კვარტალისათვის, მაშინ როცა ამ წარმოებისათვის საჭირო დანადგარებისა და მოწყობილობების შემონანა სხვადასხვა ქარხნებიდან გათვალისწინებული იყო III, IV კვარტალში და 1963 წლის I კვარტალში.

ისმება კითხვა: გეკითხნდა თუ არა ჩვენ საშუალება 1962 წლის III კვარტალში აგვემოქმედებინა კაპროლაქტამის წარმოება? რა თქმა უნდა, არა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაგვიგეგმა გასული წლის III, IV კვარტალში გამოგვეშვა კაპროლაქტამი.

**მეორე.** ჯერ კიდევ 1959 წელს ჩვენ უნდა მოგვეხდინა ამონიუმის გვარჯილის და სუსტი აზოტმჟავის საამქროების სრული ავტომატიზაცია. დამუშავდა პროექტები, წარდგენილ იქნა დაკვეთები მოწყობილობაზე, მასალებზე, საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებზე. მოსალოდნელი იყო, რომ ეს საქმე ბოლომდე იქნებოდა მიყვანილი, მაგრამ რესპუბლიკის „გლავსნაბსბიტში“ ამ გაბედულმა აზრმა ვერ ჰპოვა მხარდაჭერა, არ იქნა გამოყოფილი ამ საქმისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები. [illegible] ინტერესები მოითხოვს აქედანვე დაისვას საკითხი, რომ აქ შეიქმნას ქიმიის დამოუკიდებელი დამპროექტებელი ინსტიტუტი ან აზოტის საკავშირო ინსტიტუტის ფილიალი. ან შეიძლება შეიქმნას ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის ერთი დამპროექტებელი ინსტიტუტი.

ამასთან ერთად, მიხდა დავსვა ის საკითხი, რომ რესპუბლიკაში აშენებულ იქნას სპეციალური ქარხანა, რომელიც ქიმიური ობიექტებისათვის დაამზადებს ისეთ აუცილებელ დეტალებს, რომელთა შემოზიდვა ამჟამად მეტად შორი მანძილიდან გვიხდება. ეს კი იწვევს დიდ სიძნელეებსა და ხარჯებს.

დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს ქარხნის ელექტროენერგიით, ბუნებრივი გაზითა და ტექნიკური წყლით მომარაგების საკითხი. ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც ძირითადად წყვეტს ქარხნის რენტაბელური და რიტმული მუშაობის ბედს. გასულ წელს „საქნერგოს“ ცუდი მუშაობის შედეგად 12-ჯერ მოხდა ქარხანაში ელექტროენერგიის გამორთვა. ამან საბოლოო ანგარიშით ქარხანას 150 ათასი მანეთი ზარალი მიაყენა.

**ქარხნის რიტმულ მუშაობაში არანაკლებ შემაფერხებელ მიზეზად ითვლება ყარაგანდან მიღებული ბუნებრივი გაზის წნევის ხშირი მერყეობა.** ხშირია შემთხვევა, როცა გაზის წნევა მინიმუმამდე დადის. ეს იწვევს ქარხნის ქიმიური პროცესების ნორმალურ ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას და პროდუქციის შემცირებას. საჭიროა ეს საკითხი დროულად მოაგვაროს „რუსთავგაზის“ ხელმძღვანელობამ.

როგორც ქიმიური, ისე მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური წყლით უკეთ მომარაგების უზრუნველსაყოფად საჭიროა ზაპესმა და ორთაჭალასმა წყლის გაწმენდა მოახდინონ იმ დროს, როცა მტკვრის წყლის დებიტი წამში აღემატება 160-180 დეკალიტრს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტალახიანი წყალი დიდი რაოდენობით შეიღის მაცივარ-დანადგარებსა და აგრეგატებში და იწვევს მუშაობის შეფერხებას, ზოგიერთი აგრეგატის მწყობრდან გამოყვანას. უფრო მეტიც. ასეთი წყლით კვების შემთხვევაში მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალი ვერ უზრუნველყოფს ორთქლით ნორმალურად მომარაგებას. ამის გამო წარმოებაში ადგილი აქვს ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას, ზოგჯერ ქარხნის გაჩერებასაც.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საკითხი „დიდი ქიმიის“ საპრობლემო საკითხებია და მათს დროულ გადაჭრაზე დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარება.

**ა. საღარეიშვილი,**
**რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორი.**

# ᲩᲐᲛᲭᲠᲐᲚᲘ ᲨᲣᲥᲣᲠᲐ

**საშუალო** ტანის, შავგვრემანი ქალიშვილი ავტობუსის გაჩერებასთანავე მკვირცხლად ავიდა, რბილ სკამზე დაჯდა და ვიღაცას ფანჯრიდან ხელის ქნევითა და მომხიბვლელი ღიმილით დაემშვიდობა.

ავტობუსი ბათუმისაკენ გასრიალდა. სოფელ ურეხის გასაჩერებელთან კი ქალიშვილს რამდენიმე ახალგაზრდამ ირონიული ღიმილი გააყოლა. ერთ-ერთმა სხვების გასაგონად დამცინავად თქვა: ჰმ, შუქურა?!

— ვინ არის ეგ ქალიშვილი, ალბათ ახალბედა ექიმი ან მასწავლებელია? — იკითხა უცნობმა.

— ყუჟუნა ვარშანიძეა, ჩამქრალი შუქურა.

— როგორ ჩამქრალი?!

— ბათუმს იქით ერთი ძველი შუქურა დგას. იგი ალარ ანათებს და არც ერთი მეზღვაური ყურადღებას არ აქცევს...

— ვერ მიგიხვდით, — შეაწყვეტინა უცნობმა.

— ვერა? მიბრძანდით ურეხის კოლმეურნეობის კანტორაში, გადასინჯეთ ყუჟუნა ვარშანიძის შრომითი საქმიანობა, დაათვალიერეთ მეძროხეობის ფერმა. ღრმად ჩაიხედეთ კოლმეურნეობის ეკონომიკაში, და ყველაფერს მიხვდებით...

საგულისხმოა: ჩამქრალი შუქურა, ჩამქრალი შუქურა, ვიმეორებ ჩემთვის და თან ურეხის კოლმეურნეობის კანტორის კიბეებს მივყვები ზევით.

— ჩვენ მეცხოველეობის საკითხი გვაინტერესებს, — ვეუბნები ხასანს, ურეხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

თავმჯდომარემ ბუხჰალტერი გამოიძახა და ყველა დოკუმენტის მოტანა სთხოვა. ცოტა ხნის შემდეგ ბუხჰალტერი სქელი დავთრებით დატვირთული დაბრუნდა.

გადავსინჯოთ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მაჩვენებლები.

კარგიო, მეუბნება ხასანი.

1959 წელს ცენტნერი ხორცის წარმოება კოლმეურნეობას 157 მანეთი და 80 კაპიკი დაუჯდა, რძე 29 მანეთი და 10 კაპიკი. 1961 წელს კი ცენტნერი ხორცი 171 მანეთი დაჯდა, რძე — 21 მანეთი და 19 კაპიკი.

— ძვირია, ძალიან ძვირია, — ვეუბნები ხასანს.

— მართალია, — ამბობს თავმჯდომარე, — მაგრამ მაზეზს არ იკითხავთ? ჩვენთან პირუტყვის საკვები ძვირი ჯდება. მარტო 1959 წელს საკვების შესყიდვაზე 17.811 მანეთი დაიხარჯა, 1960 წელს — 20.536 მანეთი, 1961 წელს — 22.950 მანეთი, შარშან კი 17 ათას მანეთზე მეტი.

— ადგილობრივ არაფერს არ ამზადებთ?

— როგორ არა. 550 ტონა სილოსი ჩავდეთ, 100 ტონა თივა დავაგროვეთ, 107 ტონა მწვანე საკვები დავხარჯეთ. ცოტაოდენი სმინდის ჩალაც მოვიმარაგეთ. ეს არის და ეს, — ამბობს ხასანი.

— საკვების დაგროვება მექანიზებულია, არა?

ხასანმა თავი ჩაღუნა და ფანჯარს დაუწყო ჭვალება.

— ძირითადად ხელით გვიხდება საკვების დაგროვება; ჩუმად წაილაპარაკა თავმჯდომარემ და თან ფანჯარაში გაიხედა. შორს სივრცეზე შავი ზღვა მუქწითლად ელვადა ჩამავალი მზის სხივებზე...

— მანქანები საკმაოდ რომ გვქონდეს, ცოტაოდენი სახნავიც რომ მოგვიმატონ, თანაც საძოვრებიც იყოს, მაშინ უფრო წესრიგში გვექნებოდა საქმე და მეცხოველეობაც შემოსავლიანი იქნებოდა. ყველაფერს აჯობებდა, რომ ჩაქვის რაიონში სპეციალიზაციის საკითხი იყოს მოგვარებული. ხომ ნათლად დარწმუნდით, რომ წლების მანძილზე მეცხოველეობა ზარალიანია. განა არა სჯობს, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში მაღალშემოსავლიანი დარგები განვავითაროთ?

ხასანს თავისი ნათქვამის თვითონაც არა სჯეროდა. ამას მის თვალებში ნათლად ამოიკითხავდით. წლობით რაც საკვებზე ფული იხარჯებოდა, ითით ხომ შეიძლებოდა მანქანები ეყიდათ. მიწებიც ცუდი არა აქვთ, საჭიროა მხოლოდ აგროწესების დაცვით დამუშავება და სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ოსტატთა გამოცდილების გამოყენება. ურეხში კი სიმინდის დაბალ მოსავალს იღებენ. შესაძლებლობა მეტია.

თავმჯდომარის კაბინეტში ყუჟუნა ვარშანიძე შემოვიდა.

— თქვენ სულ ახლახანს ბათუმში აო მიდიოდით?

— დიახ... მაგრამ უკან დამაბრუნეს, მითხრეს, თქვენი ნახვა უნდათო, —თქვა ყუჟუნამ და თან თვალებში გაკვირვება და ამბის გაგების სურვილი შეეტყო.

ყუჟუნა ვარშანიძემ 1958 წელს ძროხების წველადობის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და აჭარაში ერთ-ერთი მოწინავე მწველავის სახელი დაიხაკუთრა. მომდევნო წელს გეგმის შესრულებას სულ ცოტა დაუკლდა, მაგრამ მოწინავეთა შორის მაინც „სპეციალ“ ადგილზე დატოვეს, იფიქრეს მომავალში გამოასწორებსო.

ამის შემდეგ ყუჟუნას ხშირად ვხედავთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებებზე. 1961 წელს კი ურეხის კოლმეურნეობაში ვარშანიძის გამოცდილების შესწავლელი სკოლა შექმნეს.

ქალიშვილს ამ ერთგვარმა წარმატებამ თავბრუ დაახვია. მან თავი ოლიმპზე წარმოიდგინა, იფიქრა, ახლა წინსვლისათვის გზა გახსნილიაო. მაგრამ...

...მაგრამ ყუჟუნამ დაპირება ვერ შეასრულა. შარშან ვალდებულებით თვითეულ ძროხაზე 3.200 კილოგრამი რძე უნდა მიეღო. ჯერჯერობით თვითეულზე 2.000 კილოგრამამდე აქვს მიღებული, წელიწადი კი დამთავრდა.

— რა მოხდა, ყუჟუნა, რატომ ჩამორჩით?

დუმილი...

— თქვენ ხომ საქვეყნოდ იკისრეთ ვალდებულება...

თვალის გუგები დაენამა და კვლავ დუმილი არჩია ქალიშვილმა. ფიქრობს თქვას თუ არა, რაც აწუხებს. ხან თავმჯდომარეს გადახედავს, ხან კი თავს ხრის.

— უმიზეზოდ არაფერი არ ხდება ბუნებაში, — დაიწყო უუჟუნამ, — ჩვენც გვაქვს გასამართლებელი მიზეზი.

— თქვით, გისმენთ.

— პირდაპირ რომ ვთქვათ, საქმე შემდეგშია: ძროხებისათვის საკვები არ გვყოფნის, მშიერი ძროხა კი, კარგად იცით, რძეს არ იძლევა.

— მართალია, მაგრამ ვისი ბრალია, რომ საკვები არ გყოფნით?

— ბრალი ყველას მიუძღვის, კოლმეურნეობის ყველა წევრითა და გამგეობით დაწყებული.

— როგორ?

— აი როგორ: ბათუმში იყო კომბინირებული საკვების ქარხანა, რომლის რეკონსტრუქცია ერთი წელია ჭიანურდება, და მეტად საჭირო საკვებს მახარადნან ვეზიდებინ.

— ყუჟუნა მართალს ამბობს, — დაუმატა თავმჯდომარე ხასან გორგილაძემ, — იყო შემთხვევები, როცა ავტომანქანა მახარაძიდან ცარიელი დაბრუნებულა, პირუტყვი კი შიმშილობს. ასე რომ გზის ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე თვით კომბინირებული საკვების ღირებულება. ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რძის თვითღირებულება რომ დიდია?

საგულისხმო და დამაფიქრებელი ფაქტებია.

— ძროხებს რითი წველით? — ვკითხეთ ყუჟუნას.

— ხელით, — იყო პასუხი. — კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ 1952 წელს შეიძინა 12 ორტაქტიანი საწველი აპარატი, რაზეც 6.500 მანეთი დახარჯა. ამ აპარატებმა რამდენიმე დღეს იმუშავა და უარყოფითი შედეგი მივიღეთ. ხელსაწყალი არ იყო, მწველავი უფრო მეტ დროს კარგავდა და ძროხას ცური უზიანებდნოდა, ამიტომ შევწყვიტეთ ამ აპარატების გამოყენება და ახლა უქმად აწყვია საწყობში.

თავმჯდომარე: — „ავტოსოფლტექნიკას“ ვთხოვეთ დაგვხმარებოდნენ, რომ ორტაქტიანი საწველი აპარატები ოთხტაქტიანად გადაეკეთებინათ, მაგრამ იქიდან გვიპასუხეს, — ოთხტაქტიანი აპარატები გვაქვს და შეიძინეთო. ზემდგომ ორგანოებსაც მივმართეთ, მაგრამ რა, დახმარება ჯერჯერობით არსაიდან არ ჩანს.

როდესაც შეეკითხეთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ კოლმეურნეობამ ჩამორჩენა დაძლიოს, ურეხის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ერთხმად დაასკვნეს, ამ ნაკლოვანებების გამოსწორება აღგილზე მექანიზაციის გამოყენებით, იაფი საკვების წარმოების გადაწყვეტითა და მეცხოველეობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის გზით შეიძლებაო.

ყუჟუნა მოსკოვის რძისა და ხორცის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია. იგი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტზე მიუმგზავრებიათ და საგნებს მშობლიურ ენაზე ამბარებს. აი როგორ ეხმარებიან მას, რომ მიიღოს უმაღლესი განათლება. ამაგსა და ზრუნვას როგორ უპასუხა ყუჟუნამ? გულგრილობით. ახლა იმაზე ოცნებობს, რომ როგორმე მოსცილდეს მეძროხეობის ფერმას და სხვა სამუშაოზე გადავიდეს.

ოცნება ოცნებაა ყუჟუნა, მაგრამ ამაგს დაფასება უნდა. თქვენ ჩამქრალი შუქურა შეგარჭვეს თანტოლებმა ეს სიმართლეა. სამუშაო ბევრს გამოუცვლია, მაგრამ გაიჩინა როგორ. ბევრი შუქურა დაწინაურდა, მაგრამ ისინი მაინც შუქურებად დარჩნენ. გახსოვდეთ: ჩამქრალი შუქურა ზღვის სანაპიროსაც კი ვერ ამშვენებს, არავის არ უნათებს გზას და მას არც ერთი მეზღვაური არ აქცევს ყურადღებას... შუქურა ისეთ უნდა აინთოს!..

**ვ. გოზალიშვილი.**

**რედაქციისაგან:** ჩვენ ამ წერილში ერთ ჩამქრალ შუქურაზე გვაქვს ლაპარაკი. სამწუხაროდ, ეს გამონაკლისი როდია. ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთხოვთ მოგვწერონ მათს შესახებ. ეს ხელს შეუწყობს, რათა შუქურები მთელი ძალით ანათებდნენ, სხვებსაც უნათებდნენ შრომითს გზას.

# ᲝᲠᲘ ᲫᲘᲫᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ

**ჩვენს** სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა 1958 წლის 31 დეკემბერს ქუთაისში ლენინის პროსპექტზე აგებულ № 3 საცხოვრებელ სახლში შეგვასახლეს. ოცდაათზე მეტმა ოჯახმა მიიღო ბინა ამ სახლში, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტმა „საქმთამადნეულმა“ ააგო.

მაგრამ ჩვენი კმაყოფილება ნაწილობრივ დაიჩრდილა. მობინადრენი შესახლებულ იქნენ ისე, რომ სახლი მთლიანად არ იყო დამთავრებული. კერძოდ, მას არ გაჰნდა აივნები, რაც სახლის თავდაპირველი პროექტით იყო გათვალისწინებული. „საქმთამადნეულის“ ტრესტმა 1960 წელს გამოაყო სათანადო თანხები აივნების მისაშენებლად. მშენებლობა მიენდო ყოფილ „გელათშახტმშენს“, მაგრამ აღნიშნული სამშენებლო ორგანიზაცია მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ გამოანგრია სახლის კედლები, აივნები დააბეტონა პირველ სართულზე, მეორეზე ხარაჩოები აღმართა და მშენებლობა ასეთ მდგომარეობაში მიატოვა.

1961 წლის პირველი იანვრიდან ჩვენი სახლი ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განკარგულებაში გადაეცა. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი ტანჯვა, „საქმთამადნეულის“ ტრესტმა შეწყვიტა მშენებლობის დაკონდა. სახლი ჩვენ ალარ გვეკუთვნის და სხვისი საქმე რათ უნდა ვაკეთოთო.

მივმართეთ საქალაქო საბჭოს აღმასკომს. იქ გვითხრეს: ძაღლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოს, სახლის დასამთავრებელი თანხები ჩვენ არ გვაქვსო.

ამბავი ნათქვამი, ორი ძიძის ხელში ბავშვი დაიხრჩოო.

**გ. ბაბუნია — ინჟინერი, ვ. ბუგუტიშვილი — ინჟინერი, პ. თოფურია — საწყობის მუშა, ნ. ორგელაძე — დიასახლისი, ქ. ბაძრაძე — დიასახლისი.**
**ქალაქ ქუთაისის ლენინის პროსპექტის № 3 სახლის მცხოვრებნი.**

# ᲕᲘᲜ ᲙᲐᲤᲐᲕᲡ ᲢᲧᲔᲡ?

**სოფელი** მუხური და კერძოდ მდინარე ხობისწყლის ხეობა მდიდარია ტყის მასივებით. ამ სოფელში ყოველწლიურად ისვენებს 1.500-2.000 დამსვენებელი ხობისწყლის ხეობის ლაღი ჰაერი და საერთო კლიმატური პირობები მეტად დადებითად მოქმედებს ბავშვებზე.

ეს კუთხე უფრო მიმზიდველი რომ გახდეს, საჭიროა დავიცვათ ტყე — ჯანმრთელობის კერა. ხობისწყლის ხეობის ტყის მასივების გარკვეული ნაწილი ეკუთვნის სოფელ მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას, ხოლო მისი ძირითადი მასივის მფლობელია ზუგდიდის სატყეო მეურნეობის მუხურის სატყეო უბანი.

ბუნებრივია, რომ სატყეო მეურნეობა შორს გაფენტულ უბნებს და უნებართვო ჭრისაგან მათს დაცვას ვერ გაუწევს სათანადო კონტროლს. არის არაერთი შემთხვევა, როცა ცალკეული პირები უნებართვოდ კაფავენ ტყეს. ხეობის მიდამოების გარკვეული ნაწილი გაშიშვლდა.

ტყის დაცვის საკითხის ჯეროვან დონეზე დასაყენებლად სასურველი და საჭიროა მუხურის, ნაფიჩხოვის და თაიას სატყეო ბაზაზე შეიქმნას ერთი სატყეო მეურნეობა, რომელსაც დაეკისრებოდა ტყის ეფექტური დაცვა და შემდგომი გაშენება.

**თ. ახალაია, მუხურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; შ. ჩიქოვანი, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; ბ. შამგეშოვი, ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი; ა. ჩიქოვანი, საშუალო სკოლის დირექტორი; ბ. ჩი

# გმირის ხსოვნა

**რომი**, 3 იანვარი. (საკდესი). „სიხარულით შეიტყე, რომ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა თევდორე პოლეტაევს, რომლის წვლილი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში იტალიამ უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი აღნიშნა“, — განაცხადა წერილში გმირის ოჯახისადმი ქალაქ გენუის მერმა პერტუზიომ. „ვირობას გაძლევთ, რომ გენუის მოქალაქენი ყოველთვის სიყვარულით მოუგონიან გმირის საფლავს, რომელიც ჩვენს მიწა-წყალზე დაიღუპა და პატივს სცემენ მის ხსოვნას. დარწმუნებული ვარ, რომ მსხვერპლმა, რომელიც გაიღო თევდორე პოლეტაევმა, ისევე როგორც ბევრმა სხვა მამაცმა მებრძოლმა თავისუფლებისა და სამართლიანობის საერთო იდეალებისათვის ბრძოლაში, კაცობრიობას დაუსახა ცივილიზაციისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ერა“.

# „მეგობროგის პარკი“ სანტა მარიაში

**ჰავანა**, 4 იანვარი. (საკდესი). გუშინ რამდენიმე ასეული კაცი შეიკრიბა ლამაზ საკურორტო დაბა სანტა მარიაში, ოც კილომეტრზე კუბის დედაქალაქ ჰავანიდან. მსოფლიოს 61 ქვეყნიდან კუბის რევოლუციის მეოთხე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული დელეგატები აქ მოვიდნენ, რათა გაეშენებინათ „მეგობრობის პარკი“. მათ აქ დარგეს ორი ათასს ხუთასი ხე, რათა კიდევ უფრო დაემშვენებინათ ეს თვალწარმტაცი კუთხე ამერიკის თავისუფალ ტერიტორიაზე და თავიანთი აქ ყოფნის სახსოვრად დაეტოვებინათ გმირი ხალხისათვის. ყოველ დარგულ ხეს მიმაგრებული აქვს პატარა დაფა, სადაც აღნიშნულია დელეგატის გვარი, რომელმაც ხე დარგო.

ერთ-ერთ დაფას აწერია: „დარგო 1963 წლის 3 იანვარს პავლე პოპოვიჩმა“. ამ ხესთან, რომელიც არაფრით არ განირჩევა სხვა ხეებისაგან, შეხვიბნენ დელეგატები, ჟურნალისტები, ადგილობრივი მცხოვრებლები. ყველას უნდოდა უფრო ახლო გაეცნო საბჭოთა კოსმონავტი პავლე პოპოვიჩი, ჩამოერთმია ხელი, ეთხოვა ფოტოსურათი ან ავტოგრაფი.

ხეების დარგვის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა რამონ კალსინესმა.

*სალამი, მასწავლებელო!..*

# ცხოვრების მეგზური

— არ თოვს, რა გინდა რომ ქნა, — ბარემ ათი წელიწადი იქნება ახალი წლის ღამეს ფიფქი არ გადმოვარდნია ზეცას. შეეყურებთ თბილისელები ცას, მაგრამ... გაგიგონია? სად არის თოვლი! რა იქნებოდა, ერთი დაებარდნა, გამოეტანათ ციგა ბავშვებს...

მაშინ კიდევ უფრო ლამაზი იქნებოდა ახალწლის ღამე. მე იმედის ღამეს ვეძახი მას.

ამ ვეებერთელა ქვეყანაზე, ამ კიდიდან იმ კიდემდე, ჭიქები ღვინით არის სავსე, გულები იმედითა და სიხარულით.

კარზე აკაკუნებს ვიღაც, ვიღაც კი არა, მეკვლეა.

— რა მოგაქვს, მეკვლევ?

— მშვიდობა, ბარაქა!..

და ღომის მარცვლებს აბნევს მეკვლეს დოვლათს, მატებას, ოჯახის მრავლობას ნიშნავს.

განსაკუთრებული დღეა 31 დეკემბერი, — ხვალ ახალი წელია, და ყველა ემზადება!

სწავლას მოწყურებული ბავშვი ემზადება ახე 31 აგვისტოს — ხვალ 1 სექტემბერია.

ბავშვობის ინ ნეტარ დღესასწაულს მაგონებს ახალწლის ღამე და მეჩვენება, რომ ქვეყანა უბრუნდება ახალგაზრდობას, რაღაცას იწყებს თავიდან, გამარჯვების იმედს იკრებს და სჯერა, რომ ეს წელიწადი იქნება უფრო კარგი, უფრო დალხინებული...

ამ იმედის ღამეს ახლობლები ერთად ვხვდებით.

და ამ დღეს თქვენც ჩემთან ხართ, ჩემს გვერდით, ჩემო მასწავლებელო, მოგონებაში კი არა, ცხადლივ. ჩემს ოჯახში ხართ და გესაუბრებით, ვიგონებთ ათას რამეს.

მე თქვენ გეტყვით, არა გვაქვს მოსაგონარი!

გახსოვთ, ნადია მასწავლებელო, მე და ირაკლი ფაილოძე შარშან პაპიროსის ბოლებით რომ შეგხვდით ქუჩაში და აგერ თითქმის ოცი წლის წინათ სკოლადამთავრებულმა კაცებმა ინსტიტუტურად რომ დავმალეთ პაპიროსები? ხომ გახსოვთ? თქვენ მაშინ გაიცინეთ და თქვით:

— ახლა ნუღარ მალავთ პაპიროსს!..

ირაკლის ორი შვილი ჰყავს, ნადია მასწავლებელო, ლევანი და დავითი... ჩვენ ახლა დიდები ვართ, ახლა ჩვენც დავდივართ მშობლთა კრებებზე და შიშით ვადებთ „სამასწავლებლოს“ კარს — ვინ იცის, რას გვეტყვის შვილის მასწავლებელი!

თქვენ ყოველთვის ჩვენთან ხართ, ძმაბე დღესა და სიხარულის წუთებში.

თინანთინ წერეთელი იყო უნივერსიტეტში ჩემი მასწავლებელი. მახსოვს უკანასკნელ ლექციაზე გვითხრა — მე როცა გამეპირდება, ან რამე რთული საკითხი მაქვს გადასაჭრელი, ფიქრს ვიწყებ ჩემს მასწავლებელზე — ლუარსაბ ანდრონიკაშვილზე, რომელიც ჩვენი ადვოკატურის სინდისი იყოო.

ძნელად სავალია მასწავლებლის ცხოვრების გზა, მაგრამ მასწავლებლობას აქვს ფასდაუდებელი საზღაური. მისი ჩუი და პატიოსანი შრომის საფასური მოწაფის სიყვარულია. სიყვარული, რომელსაც მხოლოდ დედის სიყვარული შეედრება. რომელ ავადმყოფს შეუძლია ისე მოიგონოს თავისი მკურნალი, რომელ სახლში მცხოვრები იხსენებს მისი სახლის მშენებელს, რომელ ხიდზე მოსიარულეს ერთხელ მაინც უკითხავს — ვინ არის ამ ხიდის მშენებელიო, მაგრამ ვის არ ახსოვს საყვარელი მასწავლებელი!

მასწავლებლის პროფესიაში არსებობს რაღაც დედური, რაც ასე აფაქიზებს მას.

ამ ცოტა ხნის წინათ „იზვესტიაში“ წავიკითხე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბერიოზოვის წერილი. იგი თავის ისტორიის მასწავლებელს ანასტასია მაქსიმეს ასულ შატროვას იგონებს დიდი სიყვარულით, პატივისცემით. იგონებს ერთ თითქოს უბრალო დეტალს, რაც მას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა:

1937-38 წლებში, წერს პროფესორი, კომკავშირში არ გვინდოდა მიგვეღო ერთი ჩვენი ამხანაგი, იმიტომ რომ მას მამა ჰყავდა დაპატიმრებული. მაშინ წამოდგა ანასტასია მაქსიმეს ასული და გვითხრა, რომ ჩვენ ვცდებით, რომ ჩვენ არა გვაქვს უფლება არ ვინდოთ ჩვენს ამხანაგს, კარგ მეგობარს, საუკეთესო მასწავლეს...

ვისაც გამოუცდია უდედობა ან უმამობა, ის ადვილად მიხვდება, თუ რა იყო მაშინ ის მასწავლებელი იმ უდანაშაულო ბიჭისათვის, რომელიც ორმაგად იჩაგრებოდა — უმამობითა და ამხანაგების გულცივობით.

ვის არ განუცდია ჩემი თაობიდან უმამობა, ჩვენ ხომ ომის დროს ვიყავით მოწაფეები. სამკუთხა წერილის მოლოდინში ჭონდათ დაწყვეტილი თვალები დედებსაც და ბავშვებსაც...

უჭირდა ქვეყანას და უჭირდა ჩვენს სკოლასაც.

ახლაც მახსოვს სოსო თიკანაძე, უფრო სწორად მისი გვარი და სახელი. ის უფროსკლასელი იყო, ორმოცდაორში დაამთავრა სკოლა და ჯარში წავიდა, მალე „შავი ქაღალდი“ მოვიდა. დალუპულაო, როგორ ტროდნენ მასწავლებლები...

დროდადრო სკოლაში შემოიკლიდა ვინმე ფრონტიდან დაბრუნებული, და ფეხზე დადგებოდა მთელი სკოლა... ჩვენ შორიდან თვალებდაპყრობილები ვუცქეროდით როგორ ეხვეოდნენ მასწავლებლები ჯარისკაცს. მაშინ ის ჯარისკაცები ძალიან დიდები გვეჩვენებოდნენ, ის ჩექმებიანი ბიჭები კი მაშინ სულ 20-22 წლისანი თუ იყვნენ.

ქიმიას გვასწავლიდა ნადია ბალავაძე, ქიმიას კი არა, სწორად ცხოვრებას, ერთმანეთის გაგებას, ადამიანებისადმი ნდობას გვასწავლიდა, ამიტომაც გვიყვარდა იგი, ამიტომ უყვარს ყველა მოწაფეს მასწავლებელი!

მახსოვს, როგორ უსმენდა ნადია მასწავლებელი რადიოგადაცემას ალეკო თავხელიძეზე. ალეკო და ნოშრევანი, ძმები, ერთად სწავლობდნენ, ორივე ფიზიკოსია. ახლა ალეკო მოსკოვს ახლოს ქალაქ დუბნოში ინსტიტუტში მსახურობს, მეცნიერების კანდიდატია, იმედის მომცემი ახალგაზრდა მეცნიერი. აკადემიკოს ნიკოლოზ ბოგოლიუბოვის ხელმძღვანელობით მუშაობს — ზემაღალი ენერგიის ნაწილაკების ურთიერთმოქმედებაზე. წელს ყენევაში ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენციაზე ალეკო მოხსენებით გამოვიდა. და, როგორც ამბობენ, ყურადღებაც მიიქცია. მოგეხსენებათ, ასეთ ხელჩასაჭიდებელ ამბავს ჟურნალისტები ოიოლად არ უშვებენ ხელიდან. და რადიომ აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ალეკო დიდი პატივით ალექსანდრე ნიკიფოროვიჩად მოიხსენია და გადმოსცა, მაგრამ რა გადმოსცა. ზეცაში აიყვანა კაცი.

მე ვიცი ორი წუვილი თვალი, რომელიც ცრემლით იყო სავსე, როცა ალეკოზე ლაპარაკობდა დოქტორი. ეს იყო დედა ნატა — ალეკოს დედა და ნადია მასწავლებელი.

ერთი შეხედვით მასწავლებლის ცხოვრებაში ყოველწლიურად ყველაფერი მეორდება, ერთი და იგივე გაკვეთილი, სექტემბერში შეხვედრა, ზაფხულზე არდადეგები. ბავშვები ხუთოსნები და ცუღლუტები, მშობლები — გულისხმიერები და უყურადღებონი. გარეგნულად მართლაც ერთფეროვანი ჩანს მასწავლებლის ცხოვრება, სინამდვილეში კი მის ცხოვრებაში არ არის არცერთი ერთმანეთის მსგავსი წუთიც კი.

მასწავლებლობა ისეთივე მომადლებული ნიჭია, როგორც მხატვრობა ან მწერლობა, ვერ გახდები მხატვარი თუ ბუნებამ არ გიწყალობა ნიჭი, ვერც მასწავლებელი გახდები რაიმე საგნის ცოდნით.

ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში არის ისეთი მასწავლებელი — ერთი, ორი ან სამი ადამიანი, რომელიც არასოდეს არ გტოვებს, რომლის თვალს ყოველთვის გრძნობ, ადამიანი, რომლის არსებობა გაიმედებს და გულს გამაგრებს.

თითქმის ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სკოლას დავშორდით. დიდი ხანია უკან დარჩა ომის დაძაბული, უფროსებმა გამოცვალეს, და ლენინგრადმა ამბრძოლ ადამიანებში გატარებული. მაგრამ მაინც სანტარო მოწაფეობა. თქვენ კი, ძვირფასო მასწავლებლებო, ისევ ჩვენთან, ხართ... დაგხუჭავ თვალს, და ცხადლივ დაბრუნდება ბავშვობა.

ჩვენი მეათე მეორე, ცივ ოთახში შემოდის ჩვენი საყვარელი ლეონტი ალექსანდროვიჩი და მეუბნის:

— ა ნუ, გრაუდანე... ეტო რასკაუეტ ეროკ...

აი ომგადასულილი ვალიკო მელაძე...

აი ვახტანგ მაღლაკელიძე.

მეხსნის ევგენია გოზალიშვილის დარბაისლური ხმა, ილიას რომ გვიკითხავდა ხაამ ქართულით:

„ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ თავისთავადაც სიმდიდრე არის, ვერც ვინ მოპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუდგება. ახლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია, ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად ჭრის...“

...რა ცუდია, რა დასანანია, რომ არ არსებობს „მასწავლებლის დღე“, ამ დღეს ყველა მოინახულებდა თავის სკოლას, მასწავლებლებს, თანაკლასელები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, და დაბრუნდებოდა ბავშვობის ტკბილი დღეები...

... ახალი წელია, იმედის, მოლოცვის და სიხარულის დღე, ამ დღეს მასწავლებლებს დედასთან ერთად, გადლეგრძელებენ თქვენი მოწაფეები. ხშირად ფიქრობ, რომ მასწავლებლისა და დედის თმაში ყოველი დერი ჭაღარა თითო ღამე არის, ჩვენზე დარდში და წუხილში ნათევი.

...ახალი წელია, და მეც ვოცნებობ, ვოცნებობ მომავალზე, ბედნიერებაზე... ვხედავ, როგორ მომყავს თქვენთან ჩემი შვილები ლევანი და თამარი, ვალებთ სკოლის კარს, თქვენ გვეგებებით ნაცნობი ღიმილით, მე და ჩემი ბიჭი ერთად ვიხდით ქუდს და სამივენი ერთად გესალმებით:

— სალამი, პატივცემულო მასწავლებელო!..

**რ. დვალიშვილი.**

# ჩინეთ-ინდოეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისათვის

*მიტინგი პეკინში*

**პეკინი**, 3 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი **ბ. ოკოლოვი** იტყობინება:

ჩინეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების საზღვრის საკითხები, რა რთულიც უნდა იყოს, შეიძლება სამართლიანად და გონივრულად გადაიჭრას მეგობრული კონსულტაციების, ურთიერთგაგებისა და ურთიერთდამთმობათა სულისკვეთებით, განაცხადა დღეს პეკინის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა პინ ჯენმა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ციელონის პრემიერ-მინისტრის ს. ბანდარანაიკეს ყოფნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

შეეხო რა ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო კონფლიქტს, პინ ჯენმა თქვა, რომ ჩინეთმა უკვე ყოველი ღონე იხმარა, რათა უზრუნველეყო ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა.

ჩვენ იმედი გვაქვს, განაგრძო პინ ჯენმა, რომ ინდოეთის მთავრობა დაიწყებს მოლაპარაკებას, რათა განვამტკიცოთ ახლანდელი მდგომარეობა — ცეცხლის შეწყვეტა, დავაშორიშოროთ ორივე მხარის შეიარაღებული ძალები და შევუდგეთ ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხის მეგობრულად გადაჭრას.

მიტინგზე გამოვიდა ციელონის პრემიერ-მინისტრი ს. ბანდარანაიკე. მან განაცხადა, რომ მშვიდობის შენარჩუნება სახელმწიფოთა პოლიტიკის ქვაკუთხედი უნდა იყოს და რომ წარმოშობილ კონფლიქტთა გადაუჭრელად დატოვება დიდ საფრთხეს ქმნის.

იგი შეეხო ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო კონფლიქტს და გამოთქვა რწმენა, რომ ახლო მომავალში ეს საკითხიც გადაიჭრება.

მიტინგს, რომელიც სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სხლში მიმდინარეობდა, დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე ხე ლუნი და სხვა ოფიციალური პირნი, საზოგადო მოღვაწეები, აგრეთვე პეკინში დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

**დღეს კუბა ბედნიერ, შემოქმედებითს შრომას ეწევა. კუბა სოციალიზმს აშენებს. მაგრამ მტერია კვლავ რომ ხელყოს მისი თავისუფლება, იგი კუბელებს მოუმზადებლებს ვერ მოუსწრებს. მამაკაცებთან ერთად სამშობლოს დასაცავად მზად არიან თავისუფლების კუნძულის ქალიშვილებიც.**

ფოტო ადნ-საკდესისა.

# კონგოს ამბები

**პარიზი**, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს დღისით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ყადოვილი — სამთომომპოვებელი მრეწველობის დიდი ცენტრი კატანგაში. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, ეს გამოაცხადა იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

ყადოვილი მდებარეობს ასზე მეტ კილომეტრზე ელიზაბეტვილის ჩრდილოდასავლეთით, მისი დაკავისათვის ჩომბემ, როგორც ცნობილია, თავი მოუყარა იქ ყანდარმერიის დიდ ძალებს, მათ შორის თეთრკანიან დაქირავებულებს.

**პარიზი**, 4 იანვარი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები კატანგიდან იუწყებიან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები ყადოვილის აღების შემდეგ კოლეზეს მიმართულებით მიიწევენ, სადაც ახლა თავმოყრილი არიან კატანგელ გამოთშველთა ძირითადი ძალები. კატანგელი ყანდარმები და დაქირავებულნი, მიუხედავად ჩომბეს განცხადებისა, რომ ისინი „ბოლომდე“ იბრძოლებენ, კვლავ აიდგებენ თავს გადამწყვეტ ბრძოლებს. ყადოვილი მათ თითქმის უბრძოლველად დატოვეს. როგორც ჩანს, ჩომბე ცდილობს იხსნას განადგურებისაგან თავისი არმია იმ იმედით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის ზემოქმედებით მალე შეკავებას თავს სომარ ოპერაციას.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ყადოვილის რაიონში დაქირავებულებმა დაანგრიეს კობალტის ქარხანა და ელექტროსადგური, მაგრამ ხელი არ ახლეს კომპანია „უნიონ მინიერის“ სპილენძსადნობ ქარხნებს. გუშინ ჩომბემ განაცხადა, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები არ შეწყვეტენ შეტევას, საწარმოთა დანგრევა გაგრძელდებაო.

**კაირო**, 4 იანვარი. (საკდესი). თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ზეგავლენით კვლავ დაუთმობს ჩომბეს, წერს დღეს გაზეთი „ალ-მასა“, ჩომბე კვლავ გაუწევს წინააღმდეგობას კონგოს ერთობის მიღწევას.

საიდუმლო როდია, აღნიშნავს გაზეთი, რომ დასავლეთის ქვეყნებს კონგოში თავიანთი ინგარებითი მიზნები და სარგებლობის მიღება ამოქმედებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წინათაც ჰქონდა შესაძლებლობა განეხორციელებინა უშიშროების საბჭოს რეზოლუციები კონგოს ერთობის შესახებ. მაგრამ იმპერიალისტების ზეგავლენით იგი ყოველთვის გაუბედაობას იჩენდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასეთი პოზიციის გამო საეჭვოა სიფრთხილე. ყველაფრიდან ჩანს, რომ კონგოში შეიძლება წინანდელი ისტორია განმეორდეს. დასავლეთის ქვეყნების მანევრები კვლავ ეწევიან კონგოელ ხალხს სამოქალაქო ომის უფსკრულში.

**პარიზი**, 4 იანვარი. (საკდესი). კონგოს ცენტრალური მთავრობა მოითხოვს საომარი ოპერაციების განგრძობას კატანგელ გამთიშველთა წინააღმდეგ, ჩომბეს ყანდარმერიისა და თეთრკანიან დაქირავებულთა განადგურებას.

ფრანს პრესის ლეოპოლდვილელ კორესპონდენტთან საუბარში კონგოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატმდივანმა მარსელ ლენგემამ განაცხადა, რომ „ლაპარაკიც ზედმეტია „კატანგასთან მოლაპარაკების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაცია „ბოლომდე უნდა მივიყვანოთ“.

# დამამწუხრებელი ანალოგია

**პარიზი**, 4 იანვარი. (საკდესი). „ბედმა გვარგუნა მოვსწრებოდით ახლანდელ დროს, როცა საეჭვო ხდება რესპუბლიკური ტრადიციის ძირითადი პრინციპი და როცა ახალი მონარქი აწესებს სპეციალურ სასამართლოებს“. ამ სიტყვებით მიმართა ყოფილმა მინისტრმა ფრანსუა მიტერანმა საფრანგეთის ეროვნულ კრებას, სადაც ახლა განიხილავენ კანონპროექტს „სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს“ შექმნის შესახებ. მან ციტატად მოიყვანა ტექსტი სხვა კანონპროექტისა სპეციალური სასამართლოს შექმნის შესახებ, რომელიც ახლანდელი კანონპროექტის ანალოგიაა, და განაცხადა, რომ ეს არის... დეკრეტი სახელმწიფო ტრიბუნალის შექმნის შესახებ ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში.

# დასავლეთ ბერლინში

**დასავლეთი ბერლინი**, 4 იანვარი. (საკდესი). ამერიკის სამხედრო სარდლობამ დაიწყო თავისი ჯარების მორიგი დემონსტრაციული გადაყვანა დასავლეთ გერმანიიდან დასავლეთ ბერლინში, რაც ამ დღეებში იყო გამოცხადებული. გუშინ დასავლეთ ბერლინში ჩამოვიდნენ ამერიკის მეცამეტე ქვეითი პოლკის მებრძოლთა ჯგუფის პირველი ქვეგანაყოფები, რომლებიც შეცვლიან აქ მყოფ ამერიკის მეთორმეტე ქვეითი პოლკის მებრძოლთა ჯგუფს.

# დე გოლი - თავისას არ იშლის

**პარიზი**, 3 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობამ აცნობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ განაგრძობს საკუთარი ატომური იარაღის შექმნის იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც მან მიიღო. ეს გამოაცხადა დღეს ინფორმაციის მინისტრმა ალენ პეირეფიტმა მთავრობის სხდომის შემდეგ, რომელიც განიხილავდა შეთანხმებებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ და ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა დადეს გასული წლის დეკემბერში ბაჰამის კუნძულებზე.

# დამსჯელებს საკადრისი პასუხი

**ნიუ-იორკი**, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც ამერიკის დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, 40 კილომეტრზე საიგონის სამხრეთით მიმდინარეობს გაფფორებული ბრძოლები სამხრეთვიეტნამელ პარტიზანებსა და დიემელ დამსჯელებს შორის. 20 საათის განმავლობაში ნგო დინ დიემის 1.400 ჯარისკაცი ამაოდ ეტეოდა პარტიზანთა პოზიციებს პატარა დაბა აპ ბაკში. ათობით ამერიკულმა თვითმფრინავმა დიდძალი ბომბი, ნაპალმი და რაკეტები დაუშინა დაბას. ამერიკის სარდლობა იუწყება, რომ დაზოცილია დაახლოებით 700 მცხოვრები.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი აღიარებს, რომ პარტიზანები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ მტერს, მიუხედავად იმისა, რომ მისი რიცხობრივი უპირატესობა ძალიან დიდია. ნგო დინ დიემს 600 პარაშუტისტი, რომლებიც ამერიკის თვითმფრინავებით გადასხეს ბრძოლების რაიონში, პარტიზანთა ცეცხლს წაწყდა და იძულებული გახდა შეეჩერებინა შეტევა. სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა გუშინ ჩამოაგდეს ხუთი ამერიკული ვერტმფრინავი და აიძულეს ამერიკის შეერთებული შტატების „მრჩეველნი“ გამოეცათ ბრძანება იმის შესახებ, რომ შეწყდეს ვერტმფრინავების ფრენა ბრძოლის რაიონში. დიდი დანაკარგების შედეგად ამერიკის სარდლობამ გადაწყვიტა შეაჩეროს შემდგომი შეტევა.

# მოგილიზაცია საუდის არაგეთში

**ლონდონი**, 4 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საუდის არაბეთის პრემიერ-მინისტრმა პრინცმა ფეისალმა გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია.

# ნაუოფვიერი თანამშრომლობა

**კაირო**, 4 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი **ს. სოლოვიოვი** იუწყება:

საბჭოთა კავშირი, რომელიც გამოხატავს მეგობრულ გრძნობებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხისადმი და ერთგულია თავისი ვალდებულებებისა, 1962 წელს კვლავ უწევდა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას ასუანის ჰიდროკვანძისა და 41 სამრეწველო საწარმოს მშენებლობაში, აგრეთვე 46 სხვა ეკონომიური პროექტის განხორციელებაში.

მარტო ქალაქ ხელუანში, რომელიც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის განვითარებადი მეტალურგიის ცენტრია, საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა კოქსქიმიური ქარხნის, ალუმინიუმის ფაბრიკის, ნაგებისა და შენადეგი ჯაჭვის ქარხნის, თუჯის ფიტინგების ქარხნის, ფერადი ლითონების საგლინავი საამქროსა და ალუმინის კილიტის საამქროს მშენებლობაში.

ქალაქ სუეცში საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენებენ საპოხი ზეთების ქარხანას, ნავთობის პირველადი გადამუშავების ქარხანას და 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურს.

1962 წელს მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოები, პროდუქციის გამოშვება დაიწყეს ალექსანდრიის ნავთობის პირველადი გადამუშავების ქარხანამ, ალუმინის კაბელისა და ლითონსაჭრელი ჩარხების დიდმა საამქროებმა, რომლებიც აშენდა საბჭოთა კრედიტით.

ამის მეოხებით არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ახლა აქვს საკუთარი ჩარხმშენებლობა.

გასულ წელს დაიღო ათობით კონტრაქტი, რომელთა შესაბამისად საბჭოთა კავშირი 50 მილიონ მანეთზე მეტ თანხის ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას.

მეტად მრავალფეროვანია ეკონომიური და ტექნიკური დახმარება, რასაც უწევს საბჭოთა კავშირი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას 1958 წლის 29 იანვრის შეთანხმების შესაბამისად. ეს დახმარება შეიცავს ისეთი გიგანტის აგებას, როგორიც არის ასუანის ჰიდროკვანძი, სამრეწველო საწარმოებისა და სასწავლო ცენტრების მშენებლობას, სხვადასხვა პროექტის შემუშავებას.

საბჭოთა გეოლოგები ეძებენ ნავთობს მეწამული ზღვის რაიონში, ხოლო საბჭოთა კავშირის მეცნიერები არაბ ფიზიკოსებთან ერთად მუშაობენ ატომური ფიზიკის პრობლემებზე.

2.000-ზე მეტი საბჭოთა სპეციალისტი შრომობს ახლა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის. მშენებლობებზე.

# უკანონო გადაწყვეტილება

**დასავლეთი ბერლინი**, 4 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის სენატმა მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, რომ ქალაქის ავტომაგისტრალი, რომელიც დასავლეთ ბერლინში აშენდა, დაუქვემდებაროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალთა კონტროლს.

ასეთი გადაწყვეტილების საშუალებით სენატი ცდილობს მხარი დაუჭიროს ბონის ხელისუფალთა პროვოკაციულ პრეტენზიებს დასავლეთ ბერლინზე, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ამ ნაბიჯის უკანონობასა და აბსურდულობას ადასტურებს ისიც, რომ დასავლეთ ბერლინის საქალაქო ავტომაგისტრალს აქვს გასასვლელი მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე და არაფრით არ შეიძლება იყოს დაკავშირებული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

# ნაყინი

**ვარშავა**, 4 იანვარი. (საკდესი). გასულ სამეურნეო წელს პოლონეთის სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მოცულობა 10 პროცენტით გაზარდეს. გასულ წელთან შედარებით სახელმწიფო სასოფლო მეურნეობათა შემოსავალი 500 მილიონი ზლოტით გადიდდა. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, მათ თითოეულ ჰექტარზე მიიღეს 16,8 ცენტნერი მარცვლეული და 125 ცენტნერი კარტოფილი — მეტი, ვიდრე ბოლოთა ინდივიდუალურმა მეურნეობებმა.

გასულ წელს სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 19 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდდა რძის, ხორცის, ზეთოვანი კულტურების, კარტოფილის წარმოება.

**ვარშავა**, 4 იანვარი.

# წინსვლა, მეგობროგა

(საკდესი). პოლონელი სპეციალისტები კუბაში აშენებენ ორ გემთსაშენს. ერთ-ერთი მათგანი აშენდება ჰავანაში და წელიწადში შეაკეთებს 100 ათას ტონაზე მეტი საერთო წყალწყვილ გემებს. მეორე გემთსაშენში აშენებენ ახალ გემებს.

გემთსაშენთა პროექტები უკვე შედგენილია.

# „ბოლომდე“

**ბაგდადი**, 4 იანვარი. (საკდესი). ბაგდადის ბაზარზე ბოლო ოცი დღის განმავლობაში ერაკელ ებრაელებს ბოლო ფულად ყიდეს ოქროს ნივთეულობა, ბრილიანტები, ბეჭდები, ოქროს ფული, ვერცხლეულობა, ფარფლები, ბეჭედი, ბეჭედ-ბეჭედ, ბეჭედ-ბეჭედ, ბეჭედ-ბეჭედ

# ენგურგე ქლიერი

ეზოში ბიჭები რიკტაფელას თამაშობდნენ. უფროსმა ძმამ შორიდან ესროლა რიკი პატარა მოგრძო ორმოზე ხიდივით გადებულ ტაფელს და ვერ მოარტყა.

— ასცდა! — დაიყვირა გახარებულმა უმცროსმა ძმამ და უფროსისაკენ გაექანა.

— აბა მოდი ჩქარა, ჩემო ცხენო, მოგახტე ზურგზე!

უფროსი ჯერ მორჩილად იდგა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა:

— არ მინდა თამაში, დავიღალე.

ოფლიანები მიწაზე იწვნენ ჩრდილში და ისვენებდნენ.

— ზური, გინდა საბანაოდ წავიდეთ?

— საბანაოდ?

— ჰო, ჩავირბინოთ ენგურზე, არ დაგცხა?

— ბავშვები?..

— აგერ თამაშობენ თავისთვის, მალე მოვალთ.

— დედამ რომ დაგვიბარა, შინ იყავითო!

— როდის იყო საბანაოდ წადითო, გვიბარებდა დედა.

— ბავშვებს რა ვუყოთ?

— ითამაშებენ ჩვენს მოსვლამდე.

— ლალიმ რომ იტიროს...

— არ იტირებს, ხელად ვიბანავებთ.

— იტირებს... დედა გაგვლახავს.

— არ გინდა და ნუ გინდა, მარტო წავალ.

ბიჭი წამოხტა და ჭიშკრისკენ გაემართა.

— დევი!.. დედას ვეტყვი, იცოდე.

ზურიკოს არ უნდოდა პატარა და-ძმასთან მარტო დარჩენა, მაგრამ მუქარამ არ გაჭრა, დევიმ არც კი მოხედა.

— დევი, მოიცა, მეც მოვდივარ.

— სად მიდიხართ თქვენ? — უცებ ყურები ცქვიტა მურმანმა — სულ უმცროსმა ძმამ და ძმებს გაეკიდა, მას ტირილით მიმყვა დაც — პატარა ლალი.

— ი, დოლპანა, ჩაგვალეს თუ არა, თქვა დევიმ და ზურიკოს დაეშყანა.

ბიჭები იძულებული იყვნენ დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ იმდენად დიდი იყო ბანაობის სურვილი, რომ ვერ მოისვენეს, ვერც თამაშობას დაუდეს გული. მათი ფიქრი კვლავ ენგურის ზვირთებისაკენ მიისწრაფოდა.

— დევი, მოდი რაღაცას გეტყვი. — ზურიკომ ძმას ჩასჩურჩულა: დავაძინოთ ესენი და წავიდეთ.

— რას ჩურჩულებთ? ვიცი, ყველაფერი გავიგონე.

მურმანს არაფერიც არ გაუგონია, მაგრამ მიხვდა, რომ ბიჭები რაღაცას ეშმაკობდნენ.

— მერე დაიძინებენ? — საეჭვოდ მოეჩვენა ძმის გეგმა დევის.

— ჩვენც მივუწვეთ, ვითომ ჩვენც გვეძინება.

— ზურიკომ ხმამაღლა გამოაცხადა:

— ბავშვებო, ახლა დავიძინოთ, შუადღეა.

არც მურმანს, არც ლალის სულაც არ ეძინებოდათ, მაგრამ მეტი რა გზა იყო, უნდა დაჯერებინათ უფროსი ძმებისათვის, დედა და მამა შინ არ იყვნენ, და იცოდნენ — ურჩობისათვის ახლა უფროს ძმებსაც შეეძლოთ მათი დასჯა.

მუთაქები გამოიტანეს და ოდა-სახლის აივანზე დაწვნენ ოთხივე, პირდაპირ იატაკზე. ლალიმ ერთხანს იტირალა, აფხაკურა ფეხები, მაგრამ ბოლოს მართლაც ჩაეძინა. მურმანმა ეშმაკობა იხმარა, თავი მოიმძინარა და უფროს ძმებს დააყურადა, რას იზამდნენ.

დევი და ზურიკო დარწმუნდნენ თუ არა, უმცროსებს სძინავთო, ფეხაკრეფით წამოდგნენ და ენგურისაკენ გაეშურნენ.

მურმანმა ლალი გააღვიძა და და-ძმაც კვალდაკვალ აედევნა უფროსებს.

## ახალი ავტომანქანები

მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტომქარხანაში აიწყეს „ზილ-130“ მარკის პირველი ხუთი ავტომობილი. ამ ახალ სატვირთო ავტომობილს მთელი რიგი უპირატესობანი აქვს წინანდელ მოდელებთან შედარებით. მისი ნომინალური ტვირთამწეობაა 4000 კილოგრამი, სათბობის ხარჯვა 100 კილომეტრზე — 26 ლიტრი, მაქსიმალური სიჩქარე 80 კილომეტრი საათში, ძრავის სიმძლავრე 135 ცხენის ძალა.

გავა რამდენიმე თვე და ქარხანა დაიწყებს ახალი მანქანების სერიულ გამოშვებას.

ზემო სურათზე თქვენ ხედავთ ახალ სატვირთო ავტომობილებს ქარხნის ტერიტორიაზე.

ეს მძლავრი თვითსაცლელი ავტომანქანა (ქვემო სურათზე), „ბელაზ-548“ მარკის ახალი მანქანის საცდელი ნიმუში, გაკეთებულია ბელორუსიის საავტომობილო ქარხანაში. მისი ტვირთამწეობაა 40 ტონა, მანქანაზე დადგმულია პნევმოჰიდრავლიკური საკიდარი, რომელიც უზრუნველყოფს სვლის სიმდორეს უგზოობის პირობებშიც კი. ამჟამად თვითსაცლელი ავტომანქანა საქარხნო გამოცდებს გადის.

„ბელაზ-548“ მარკის ავტომანქანა ეკუთვნის 27 ტონიდან 110 ტონამდე ტვირთამწეობის თვითსაცლელი ავტომანქანების ოჯახს, რომლებსაც ქარხნის კონსტრუქტორები ქმნიან. მათთვის საბაზო მანქანას წარმოადგენს 27-ტონიანი თვითსაცლელი ავტომანქანა „ბელაზ-540“, რომელმაც უკვე გაიარა გამოცდები.

ფოტო ე. სემიონოვისა და გ. უსლამოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია.

სოფელ ოტობაიასთან ენგურს კარგახნის გავაკებული აქვს და არც შესართავია აქედან შორს, მაგრამ ენგური ბოლომდე ენგურია და მთების ძალა და ღონე ზღვაში შეაქვს ზათქითა და გრიალით. ხოლო თუ ენგური მოდიდებულია, მით უარესი: ნუ ახსენებ მის სახელს, ნურც შიეკარები.

ლავრენტი ტუფურიას ბავშვებმა კარგად იცოდნენ ამ გადარეული მდინარის ამბავი, მაგრამ შეჩვეული იყვნენ და ისე ეპყრობოდნენ მას, როგორც საერთოდ ბავშვები მოთვინიერებულ მხეცს ეპყრობიან: თუმცა ეშინიათ, მაგრამ თავიანთი გულადობა რომ დაგიმტკიცონ, მზად არიან ხახაში ხელი ჩაუყონ ლომს.

ენგური მოდიდებული იყო და მოთვინიერებულ ლომს სულაც არ ჰგავდა იმ დღეს. მაგრამ დევი და ზურაბი კარგ მცურავებად თვლიდნენ თავს და მაინც შეეიდნენ მდინარეში.

ბიჭები უკვე ბანაობით იყვნენ გართულნი, როცა შენიშნეს, რომ ნაპირთან უმცროსებიც მოსულიყვნენ და ტანთ იხდიდნენ. დევიმ მაშინვე ნაპირისკენ გასცურა, მაგრამ ვერ მოასწრო წყლიდან ამოსვლა და პატარების დატუქსვა, რომ უმცროსი ძმა მურმანი, უკვე მდინარეში გადაეშვა. იმის შიშით, რომ უფროსი ძმა მკაცრად დასჯიდა და ბანაობას აუკრძალავდა, ბიჭმა ღრმად შეტოპა წყალში და აი იგი სწრაფად მოიტაცეს აბობოქრებულმა ზვირთებმა და თავქვე გააქანეს.

როცა ზურიკო წყალწაღებულ ძმას დაეწია და მკლავში ხელი ჩაავლო, ბიჭუნას უკვე ბევრი წყალი ჰქონდა ჩაყლაპული და გონმიხდილი იყო, ზურიკოს მაგრად ეჭირა ძმის ხელი და ნაპირისკენ მიიწევდა, მაგრამ ძალა თანდათან ელეოდა და ძალე მიხვდა, რომ ნაპირამდე ვერ მიაღწევდა. თერმეტი წლის ბიჭისათვის ძნელი იყო ცალხელგაკავებულს გადაელახა ენგურის აბობოქრებული ტალღები.

პატარა ძმა საოცრად დამძიმდა. იქნებ ის ცოცხალიც აღარ იყო, მაგრამ ზურიკოს წამითაც არ გაუვლია გულში მისთვის ხელის გაშვება. ეს არ უფიქრია მაშინაც კი, როცა ზვირთმა შზეილით გადაუარა თავზე და ნათლად იგრძნო — იძირებოდა,

უცებ თვალი მოჰკრა დევის, რომელიც სულ ახლო მოცურებულიყო მასთან. იმედი მიეცა, ძალა მოიკრიფა და შეძლო წამით შეჩერებულიყო წყლის ზედაპირზე. სწორედ ამ დროს მაჯაში ძმის მტკიცე შეხება იგრძნო და გონებაში უცებ აინთო ფიქრი: „გადავრჩითო“.

თუმცა გადარჩენამდე შორს იყო. დევი მხოლოდ ორი წლით იყო ზურიკოზე უფროსი და არც მასზე უკეთესი მცურავი იყო. როგორც კი ხელი სტაცა ძმას მისაშველებლად, მძლავრმა ბიძგმა ჩაყვინთვინა.

„გაუშვი, ხელი გაუშვი და გადარჩები“, — ჩასძახოდა ვიღაც უხილავი და ყვირილით მისდევდა.

„არა, არ გავუშვებ, ჩემი ძმები არიან“...

ის უხილავი მაინც არ მოეშვა: მკლავში დასწვდა, თითები ძალით გაუხსნა და გაიშვებინა.

— დედაკო, „შიშველე, — ამოიგმინა ბიჭმა და თვალი გაახილა

— ნუ გეშინია, შვილო, მადლობა ღმერთს, გადარჩით.

დევიმ იცნო მარგო კორკელია— ახლო მეზობელი. მის სველ ტანსაცმელს შეხედა და მიხვდა: ამ ქალმა გადაარჩინა დარჩრობას.

— მარგო ბიცოლა, ზურიკო და მურმანი სად არიან?

— ყველანი აქ ხართ, შვილო, ნუ გეშინია, ზურიკოც, მურმანიც, ლალიც.

საღამოს უკვე მთელმა სოფელმა იცოდა, როგორ გადაარჩინა მარგო კორკელიამ დახრჩობას ოთხი და-ძმა.

გადარეული მდინარის ზვირთებში ადამიანის ხელი რომ შეინშნა, შიშისგან ჯერ შეჰკივლა მარგომ, მაგრამ მალე მოვიდა გონს: „ცოცხალი ადამიანის ხელია“, — გაივლო გულში და გაუხდელად გადახტა მდინარეში. ახალგაზრდობაში კარგ მცურავად ითვლებოდა, მაგრამ ახლა მეტად უძნელდებოდა მოდიდებულ მდინარესთან ბრძოლა. ტვირთი მძიმე იყო და მოხუცი ოინა ჩიტაია რომ არ შეშველებოდა, ციცაბო ნაპირზე ამოსვლას ვერ შეძლებდა.

როგორ განცვიფრდნენ, ერთი ადამიანის ნაცვლად, ხელებით ერთმანეთზე მტკიცედ გადასკვნილი სამი ბიჭი რომ ამოიყვანეს წყლიდან. ვიდრე მათს მოსულიერებაზე იზრუნებდა, მარგომ მდინარეში გოგონას თმასა და თეთრ ბაბთას მოჰკრა თვალი. ეტყობოდა, გოგონაც ძმების მისაშველებლად შესულიყო მდინარეში. როცა ისიც გამოიყვანა, ქალს უკვე ძალა გამოელია და ნაპირზე დაეცა. იგი იმავე სალამოს საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმებმა, რომლებსაც ავადმყოფის თვგადასავალი უამბეს, არასგზით არ დაიჯერეს, რომ ამ ქალს შეეძლო ენგურის აბობოქრებულ ტალღებში შეცურებულიყო და ოთხი ადამიანის სიცოცხლე გადაერჩინა.

ქალისაგან ესოდენი სიმამაცის გამოჩენა საეჭვოდ რომ მიაჩნდათ იმიტომ კი არ დაიჯერეს, არამედ უბრალო მიზეზის გამო: ასეთი მოქმედება ალემატებოდა ფეხმძიმე ქალის ფიზიკურ შესაძლებლობას: მან მეორე დღეს სავსებით ჯანსაღი ბავშვი შობა. ეს მისი მესამე შვილი იყო.

არსებობს ყოვლისშემძლე ძალა, რომელსაც შეუძლია გადალახოს ბუნების ყველაზე მტკიცედ დადგენილი კანონზომიერებანი. ეს ის ძალაა, რასაც ადამიანს კეთილშობილება და მოყვასისადმი დიდი სიყვარული ანიჭებს.

ი. გოგეჩია,
მ. მიქაძე.

ფოტო ე. შელეპოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ლოვოზეროს ახალი სიცოცხლე

ფოტოპაკეტიდან

ახალი ცხოვრების მაჯისცემა ძალუმად იგრძნობა ჩვენი ქვეყნის კიდით კიდემდე. იგი გიგანტური ნაბიჯებით დაამბიჯებს შორეული პოლარეთის მიწაზეც.

მურმანსკის ოლქი. გრძელი პოლარული ღამე. თოვლიანი ველების მყუდროება თითქოს კიდევ უფრო სუსხიანსა და მკაცრს ხდის. ყინვას. სიბნელეში გახვეულა. რაიონული ცენტრის — სოფელ ლოვოზეროს ქუჩები.

გგონია სიცოცხლეს სამუდამოდ მიუტოვებია ეს ადგილები.

მაგრამ აგერ ერთ-ერთი სახლიდან სიცილი, ხუმრობა, მხიარული სიმღერები მოისმის — სოფლის კულტურის სახლში მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი რეპეტიციას გადის. პოლარული ღამე ახალგაზრდობისათვის დაბრკოლება როდია.

იმიერპოლარეთის ამ შორეულ სოფელში, დიდი მიწის განაპირას ცხოვრება მთელი ძალით ჩქეფს. აქ მდებარეობს მეირმეობის სასოფლო-სამეურნეო არტელი „ტუნდრა“.

სოფელი ლოვოზერო 350 წელზე მეტია რაც არსებობს. წინათ მისი მკვიდრნი ადგილობრივ ბობოლა მეირმეებთან მოჯამაგირეებად იდგნენ და შიმშილ-წყურვილი მათი განუყოფელი თანამგზავრი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. სოფელში აღიმართა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, გაიხსნა ორი სკოლა, რამდენიმე ჯალაზია, საავადმყოფო, ხუთი საბავშვო ბაღი და ბაგა, ორი ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება.





ეს სამი სურათიც აქაურ მცხოვრებთა ყოველდღიურობას ასახავს.

ლოვოზეროს კავშირგაბმულობის კანტორა რაიონის ყველაზე მივარდნილ კუთხეებში ყოველდღიურად 5 ათასამდე ეგზემპლარ გაზეთს, ჟურნალს, ბროშურას გზავნის აერომარხილებითა და ვერტმფრენებით, ირმებითა და ავტომანქანებით (სურათი პირველი).

სოფელ ლოვოზეროს № 2 სასურსათო მაღაზია (სურათი მეორე) რაიონში ერთ-ერთი საუკეთესოა.

აქ მუშაობს გამყიდველთა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება მიენიჭა. მაღაზიამ შარშან რუსეთის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის გარდამავალი დროშა მოიპოვა.

სოფლის კულტურის სახლში მხატვრული თვითმოქმედების რამდენიმე წრე მუშაობს, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობს ასზე მეტი კაცი. დიდი წარმატებით სარგებლობს მომღერალ ქალთა გუნდი (სურათი მესამე), რომელიც კონცერტებით გამოსულა მოსკოვში, ლენინგრადში და საგასტროლოდ იმყოფებოდა აგრეთვე საზღვარგარეთ.

## იუბილეები • ფოტონარკვევი • სპორტული ქრონიკა

# ელექტრონიკა მეღვინეობას

უძველესი დროიდან ღვინოებისა და კონიაკების გემოსა და სურნელებას დეგუსტატორები ადგენენ. ახლა კი მათ დასახმარებლად ქიმიასთან ერთად ელექტრონული ტექნიკა მოვიდა. მოლდავეთის კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ღვინისა და კონიაკების შემადგენლობის დასადგენად გამოიყენეს გაზთხევადი ქრომატოგრაფიის (ბერძნული სიტყვებია: ქრომა-ფერი, გრაფო-ვწერ) მეთოდი.

ეს მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: მილში, რომელიც გავსებულია გარკვეული ნივთიერებით, უშვებენ გაზს ან თხევად მდგომარეობაში მყოფ შესასწავლ ნარევს. რამდენადაც ნარევის კომპონენტთა შთანთქმის თვისება სხვადასხვანაირად მიმდინარეობს, ისინი კედელზე განლაგდებიან ზომიერად ფენის მიხედვით. ასე წარმოიქმნ ნარევის დაყოფა, ასე ირკვევენ მის შემადგენლობას.

ინსტიტუტში გამოიყენეს უნივერსალური გაზის ქრომატოგრაფი — ელექტრონული აპარატი, რომელიც ნივთიერების ნარევს დიდი სიზუსტით ყოფს.

ქრომატოგრაფზე გამოსაკვლევად საჭიროა ღვინის ან კონიაკის ერთი ლიტრის მეათათასედი ნაწილი, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი ქიმიური წესის დროს საჭირო იქნებოდა ათეული და ასეული ლიტრა. ანალიზი სწრაფად მიმდინარეობს. მაგალითად, კონიაკის სპირტს შეისწავლიან სულ რაღაც 30 წუთში.

ძველი მეთოდები ყოველთვის არ იძლეოდა საშუალებას განგვესხვავებინა ერთი ნივთიერება მეორისაგან. ახალი მეთოდი კი საბოლოოდ წყვეტს ამ პრობლემას.

## თეატრალური პრემიერები

**მე ვხედავ“** ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის თეატრალურმა მაყურებელმა ამ დღეებში ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დადგმით წლის უკანასკნელ პრემიერად ნახა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის კომედია „მე ვხედავ მზეს“.

სპექტაკლი დაიდგა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. რეჟისორია მ. ფურცხვანიძე, მხატვარი — ი. ტატრიაღილი. მუსიკა ეკუთვნის ბ. კვერნაძეს.

**„გლახის ნაამბობი“** ბათუმი ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, (ინსცენირება გ. ნახუცრიშვილისა და დ. ცხაკაიასი). პიესის დადგმა განახორციელა თ. აბაშიძემ, მხატვრობა ეკუთვნით ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. ყაზბეგსა და ო. წურქავას.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ი. კობალაძე, მ. ხინიკაძე; რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. ახვლედიანი, შ. გეჯაძე, ხ. მეგრელიძე, გ. იმნაიშვილი, მ. ჯალაღანია; აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები გ. გოგიბერიძე, ვ. დოლიძე, დ. კალანდაძე, ს. მიქელაძე.



**თბილისის** სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული და სანიგიენური ფაკულტეტების ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის დოცენტმა გერმანე ლუკასძე ახალაძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ოპერაციული შოკის კლინიკისა და დიაგნოსტიკის საკითხისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გერმანე ლუკასძე ახალაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

# ა. კოტოვი — ლიდერი

**გუშინ** დილით ჰასტინგსში (ინგლისი) მოეწყო საახალწლო ტრადიციული საჰადარაკო ტურნირის მეშვიდე ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. საბჭოთა გროსმაისტერმა ა. კოტოვმა პ. კლარკთან (ინგლისი) გადადებული პარტია ყაიმით დამთავრა, მაგრამ ამ ნახევარმა ქულამ მას შესაძლებლობა მისცა ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყო.

**გუშინ** გვიან ღამით შედგა უკანასკნელისწინა მერვე ტური. ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერების კოტოვისა და გლეიგორიჩის პარტია. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები, მათ შორის სმიზლოვისა და კლარკის პარტია გადაიდო.

უკანასკნელი ტურის წინ კოტოვს 6 ქულა აქვს, გლეიგორიჩს — 5,5 ქულა, სმისლოვს — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

დღეს გაიმართება უკანასკნელი ტური, სადაც ლიდერი — კოტოვი ხვდება სმისლოვს.

## კავშირთა თვალი ბილიკებზე

**ექვსიდან** ცხრა იანვრამდე ლენინგრადის ახლო მდებარე დაბა კავგოლოვო დიდი ასპარეზობის მოწმე იქნება. აქ შეიკრება საათნალამური შეჯიბრება 7 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენის მონაწილეობით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რეკანგელი, წაქაძე, კამენსკი და სხვ.

გარდა ტრამპლინიდან ხტომისა მოთხილამურეთა საერთაშორისო ასპარეზობის პროგრამაში შედის სათხილამურო გადარბენები, ბიატლონი და სათხილამურო ორშეიდი.

ქალთა სათხილამურო გადარბენის დისტანციები განისაზღვრება 5 და 10 კილომეტრით, ვაჟები ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან 15 და 30 კილომეტრის გადარბენაში.

მოთხილამურეთა საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი სპორტსმენები.

## ციურიხი. 69 ქვეყანამ განაცხადა, რომ სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის ფეხბურთელთა ტურნირში. ეს რეკორდული ციფრია. ასე გამოაცხადა აქ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ. განაცხადების მიღება დამთავრდა 31 დეკემბერს. როგორც ცნობილია, მხოლოდ 16 ნაკრები გუნდი მიიღებს მონაწილეობას იაპონიის ოლიმპიადის ფინალურ ტურნირში. შესარჩევი მატჩების მოწყობის წესი შემუშავდება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე იანვარში.

# საკდესი იუწყება...

**ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებულ შტატების ჩემპიონობა ქადრაკში მეზუთეჯერ მოიპოვა გროსმაისტერმა რ. ფიშერმა. უკანასკნელ ტურში მან დაამარცხა ა. ბისჰაიერი და 11 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა.

**სიდნეი.** სტუმართმოყვარე მასპინძლები არ აღმოჩნდნენ ცნობილი ავსტრალიელი მცურავები ლ. მაკპილი და ი. კონრადსი. ორივემ დაამარცხა ევროპის სამგზის ჩემპიონი ჰოლანდიელი ო. ლასტერი. პირველმა 220 იარდი გაცურა ბატერფლაის სტილით 2 წუთსა და 39,4 წამში. მეორემ — იმავე დისტანცია თავისუფალი სტილით — 2 წუთსა და 16,3 წამში. ლასტერიმ მაკპილთან წაგო 0,9 წამი, ხოლო კონრადთან — 2,4 წამი;

## მსოფლიო ჩემპიონატი — ბრაზილიაში

მას შემდეგ, რაც ფილიპინების ხელისუფლებამ უარი თქვეს დემოკრატიული ქვეყნების და იუგოსლავიის გუნდისათვის ვიზის მიცემაზე, მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით ფილიპინებიდან მსოფლიო ჩემპიონატი გადატანილ იქნა ბრაზილიაში. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, კანადის, იუგოსლავიის, ბრაზილიის, მექსიკის, ურუგვაის, ჩილისა და სხვა ქვეყნების გუნდები.

ჩემპიონატის სტარტზე მეტოქეები ქვეჯგუფებში მოაწყობენ წინასწარ (შესარჩევ) შეხვედრებს, რომლებმაც უნდა გამოავლინოს უძლიერესი კოლექტივები დასკვნითი ასპარეზობისათვის.

პირველობა გაიხსნება 10 მაისს რიოდე-ჟანეიროში.




# ზრდა და დრო

## იცით თქვენ ეს?

**მეფრინველეებმა** ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეამჩნიეს საინტერესო მოვლენა — ზამთარში შუქდღის ხელოვნური გაგრძელება ზრდიდა ქათმების კვერცხმდებლობას. მაგრამ როცა ერთმა „ხარბმა“ ფერმერმა ეს გაიგო, დეკემბრის დღე 6 საათით გაგრძელა, იგი სასტიკად იქნა დასჯილი — ყველა მის ქათამს მალე დასცვივდა ბუმბული.

ეს შემთხვევა დაივიწყეს. მაგრამ ჩვენს საუკუნეში ასეთივე უბედურება სხვა ფერმერსაც ეწია. ქათმები სიცივისაგან რომ დაეცვა, იგი დღისით რამდენიმე საათით აბნელებდა საქათმეს, და ქათმებს ბუმბულის ცვენა დაეწყოთ.

ამ დაკვირვებამ აიძულა მეცნიერები შეესწავლათ ფრინველთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის დამოკიდებულება დღის ხანგრძლივობაზე. შემუშავებულ იქნა მკაცრი ნორმატივები: კვერცხმდებელი ქათმებისათვის შემოიღეს 12-14-საათიანი დღე დეკემბრიდან აპრილამდე, სხვა შინაური ფრინველისათვის ასეთივე დღე იანვრიდან აპრილამდე. ამის შედეგად ქათმისა და ინდაურის კვერცხმდებლობა იზრდება 30-50 პროცენტით. ხოლო იხვისა და ბატისა 20-30 პროცენტით. ხელოვნური შუქდღის უპირატესობა ბუნებრივ დღესთან შედარებით ნათელია. ზაფხულის ხანგრძლივი დღეც არასწორადაა ყენილია კვერცხმდებლობისათვის, ამიტომ ზამთარში ბუნებრივ დღეს ახანგრძლივებენ, ხოლო ზაფხულში ამოკლებენ. ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იმ საფრინველეებში, სადაც ფანჯრები არ არის.

უკანასკნელ წლებში პოპულარული გახდა მეთოდი კვერცხმდებელი ქათმებისათვის შუქდღის შემოღებისა, რომელიც კვირაში 18 წუთით მატულობს. ეს შეესაბამება დღის ხანგრძლივობის ისეთ ბუნებრივ მატებას, როგორიც გაზაფხულზეა.

ხანმოკლე შუქდღის პირობებში ფრინველი სწრაფად მატულობს წონაში. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას წიწილებს უფრო რაციონალური გამოკვებისათვის. კარგ შედეგებს იღებენ ასეთი რიტმის დროს — 2 საათი შუქი, 2 საათი სიბნელე.

შუა და ზომიერი განედების ფრინველი და ნადირი წინასწარ გრძნობს ზაფხულისა და ზამთრის დადგომას. გაზაფხულზე ჩნდება ახალი თაობა, ხოლო შემოდგომისათვის ცხოველები ქონს იკიდებენ. ზამთრის ბეწვით იმოსებიან, ემზადებიან ზამთრის ძილისათვის ან თბილ მხარეებში მიდიან. ორგანიზმების ცხოველქმედობის ეს სეზონური ცვალებადობა დამოკიდებულია მათს გრძნობიერებაზე შუქდღის მერყეობისადმი. გაზაფხულის მზარდი დღე და შემოდგომის კლებადი დღე დირიჟორებია მცენარეების, ფრინველების, მწერების, მოლუსკების, ბიების, თევზების, მხეცების ფიზიოლოგიური მდგომარეობის სეზონური ცვლილებებისა. ცოცხალ ბუნებას თავის რეგულატორად აურჩევია არა ყინვანი და ცვალებადი ტემპერატურა, არამედ დღის ხანგრძლივობა: წლის ერთსა და იმავე დროს დედამიწის ყოველ ადგილას დღის ხანგრძლივობა მუდამ უცვლელია.

შუქრეჟიმის შეცვლამ შესაძლებელი გახადა სიასამურის მაკეობის ხანგრძლივობის შემცირება სამი თვით და კვერნის მაკეობისა ოთხი თვით.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ციტოლოგიისა და გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა დიმიტრი ბელიაევმა შეიმუშავა ვერცხლისფერ-შავი მელიეებისათვის ივნისის ბოლოდან შემოსაღებელი შუქდღის შემოღების მეთოდი, რომელიც ვადაზე 25 დღით ადრე იძლევა სრულფასოვან ტყავებს. შუქდღის შეცვლა შესაძლებელ ხდის წაულას ნაყოფიერების გადიდებას ოცდაათი პროცენტით.

### ცხოველთა „შუქკულტურის“ პროგლემა

ყველა ფრინველი და ზოგი ბეწვიანი ნადირი გრძელდღიან ორგანიზმებს ეკუთვნიან, მაგრამ ზოგიერთს — მაგალითად, ბევრი ჯიშის თხასა და ცხვარს (რამპულიე, კრაველი, პრეკოსი) ნერბვის სეზონი შემოდგომაზე ეწყება. ესენი უკვე მოკლედღიანი არსებები არიან. ცხვრის დოლის დაწყების დაჩქარება ხდება ჩვეულებრივ იმ პირობით, თუ დღეღამის განმავლობაში სიბნელის საათების რიცხვი ორჯერ მეტია შუქის საათების რაოდენობაზე. მაგალითად, განმეორებითი დოლი უფრო მალე იწყება ასეთი რიტმის დროს (16 საათი სიბნელე — 8 საათი სინათლე) ვიდრე ისეთი რიტმის დროს, როცა 8 საათს სიბნელეა — 16 საათს შუქი, ამისათვის ცხოველები დღისით შეიძლება ბნელ შენობებში ვიყოლიოთ. ორ წელიწადში მიღებული მესამე ნამატის ეკონომიური ხარგებლობა ანანწლაურებს ბნელი ფარეხების აშენების ღირებულებას.

ბევრგან, მათ შორის მოსკოვის ოლქის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა „ოქტომბრის დროშაში“ გაწეული მუშაობის შედეგად დამტკიცებულია, რომ მოკლე დღის დროს ღორების წონის ნამატი 2-3 თვეში იზრდება თითქმის მეოთხედით წონის იმ ნამატთან შედარებით, რომელსაც ხანგრძლივი დღის პირობებში იღებენ.

**საკვებზე რა ზეიძლება ითქვას? ესა თუ ის შუქდღე სტიმულს ხომ არ აძლევს პროდუქტიულობას მადის მომატებით?** კვების ნორმები თურმე წინანდელი რჩება, იცვლება მხოლოდ ნივთიერებათა ცვლის პროცესები.

წინ კიდევ დიდი მუშაობაა გასაწევი ცხოველთა „შუქკულტურის“ პრობლემაზე. საჭიროა სხვადასხვა ჯიშებისა და სახეობისათვის, მათი ასაკისათვის, ცხოველთა შენახვის პირობებისათვის ზუსტად განისაზღვროს განათების ინტენსივობა და ვადები.

თანამედროვე მრავალფანჯრიან ფერმებში ძნელია შუქდღის შემოკლება — ფარდაჩამოფარებული ფანჯრები აუარესებენ ვენტილაციას. **ამიტომ საჭირო ახალი ტიპის ფერმები — უფანჯრო, კარგი ვენტილაციითა და გადიდებული კუბატურით.**

ვენტილაციის სისტემის კონსტრუქციული გადაწყვეტა გეოგრაფიულ ზონებზე უნდა იყოს დამოკიდებული. ეს შეიძლება იყოს გასაღები და მოძრავი მომიწული ჩარჩოები ჭერში, კედლის სიოები გასაღები და მჭიდრო დარაბებით და სხვ.

საქმის ეკონომიური მხარე ფრიად პერსპექტიულია. „უფანჯრო“ ფერმების მშენებლობა უფრო იაფია და ისინი მნიშვნელოვნად უფრო თბილი იქნება ზამთრობით და გრილი ზაფხულობით. შეიძლება შევნიშნოთ, რომ თბილ შენობაში პირუტყვი პროდუქციის ერთეულზე 10-20 პროცენტით ნაკლებ საკვებს ჭამს.

განათების ხარჯები უმნიშვნელოა — დღისით შეიძლება გამოყენებულ იქნას ბუნებრივი სინათლე, რომელიც შეზღუდული რაოდენობის შუქ-სავენტილაციო სანათურების საშუალებით შეავ. შემოდგომა-ზამთრის პირობებში დღე შეიძლება გადიდდეს შუქის ყოველი ხელოვნური წყაროს გამოყენებით, შეიძლება ხმარება ნავთის ლამპებისაც კი, თუ ელექტრობა არ არის.

უფანჯრო ფერმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამრეწველო ზონებში, სადაც ცოტა საძოვრებია და პირუტყვი შეიძლება მთელი წლის განმავლობაში იყოს ბოსელში.

ანდრია ემე,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.
საგენტო „ახალი ამბები“.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## რადიო

**6 იანვარი**

**პირველი პროგრამით**

06.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.30 — ბულგარული მსუბუ